ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5892030

ნომერი: AR1888640

თარიღი : 23.03.2022

გაცემის თარიღი : 11.04.2022

გაცნობის თარიღი : 11.04.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 23 მარტს №AR1888640 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 27

ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, ასმათის ქუჩა №27-ში მდებარე №01.72.14.036.519 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 6 ნოემბრის №5174589 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 6 ნოემბრიდან 2022 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 15 დეკემბრის №5225564 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, კერძოდ საცხოვრებელ, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობებთან, ასევე, საერთო ფართობთან დაკავშირებით. ამასთან, ჩანაცვლდა გეგმები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის 145.75 კვ.მ. ფართობის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 0.00 ნიშნულის გეგმა და ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმას (სამსახურის 2020 წლის 15 დეკემბრის №5225564 ბრძანებით ჩანაცვლებული) და დაადგინა, რომ 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილია 10 ღია ავტოსადგომი, საერთო ფართობით - 145.75 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში შესაძლებელია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 145.75 კვ.მ. ამასთან, 0.00 ნიშნულის გეგმა არ იცვლება და ხდება მხოლოდ ღია ავტოსადგომების ფართობების დატანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 145.75 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2020 წლის 15 დეკემბრის №5225564 ბრძანებით ჩანაცვლებული) 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5161395 და 2020 წლის 15 დეკემბრის №5225564 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.